

შპს ბიუთი მედი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის..	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მსს ფასს-ზე გადასვლა	7
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
5. ფული და ფულის ექვივალენტები	11
6. სავაჭრო მოთხოვნები	11
7. მარაგები	11
8. ძირითადი საშუალებები	12
9. არამატერიალური აქტივები	13
10. საწესდებო კაპიტალი	13
11. შემოსავალი და რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	13
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
13. ხელფასები და სხვა სარგებელი	15
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-18
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	50,988	28,681	132,414
სავაჭრო მოთხოვნები	6	444,597	72	-
მარაგები	7	-	474,586	111,296
გადახდილი ავანსები		13,965	118,462	131,601
სულ მოკლევადიანი აქტივები		509,550	621,801	375,311
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	610,686	649,696	167,556
არამატერიალური აქტივები	9	41,703	46,453	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		652,389	696,149	167,556
მთლიანი აქტივები		1,161,939	1,317,950	542,867

ვალდებულებები და კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		11,619	29,454	-
სხვა ვალდებულებები		2,985	-	-
სულ ვალდებულებები		14,604	29,454	-
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1,718,617	1,613,298	539,385
(აკუმულირებული ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება		(571,282)	(324,802)	3,482
სულ საკუთარი კაპიტალი		1,147,335	1,288,496	542,867
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,161,939	1,317,950	542,867

აღმასრულებელი დირექტორი -----

რუსუდან სარალიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31
დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-18
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	50,988	28,681	132,414
სავაჭრო მოთხოვნები	6	444,597	72	-
მარაგები	7	-	474,586	111,296
გადახდილი ავანსები		13,965	118,462	131,601
სულ მოკლევადიანი აქტივები		509,550	621,801	375,311
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	610,686	649,696	167,556
არამატერიალური აქტივები	9	41,703	46,453	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		652,389	696,149	167,556
მთლიანი აქტივები		1,161,939	1,317,950	542,867

ვალდებულებები და კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		11,619	29,454	-
სხვა ვალდებულებები		2,985	-	-
სულ ვალდებულებები		14,604	29,454	-
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1,718,617	1,613,298	539,385
(აკუმულირებული ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება		(571,282)	(324,802)	3,482
სულ საკუთარი კაპიტალი		1,147,335	1,288,496	542,867
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,161,939	1,317,950	542,867

აღმასრულებელი დირექტორი




რუსუდან სარალიძე

მოგება-ზარალის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
შემოსავალი	11	727,286	61,179
რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	11	(499,883)	(19,337)
საერთო მოგება		227,403	41,842
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(254,956)	(112,807)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(123,995)	(178,367)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	8,9	(87,071)	(56,885)
სხვა შემოსავლები		9,489	5,502
სხვა ხარჯები		(17,350)	(27,569)
ზარალი დაბეგვრამდე		(246,480)	(328,284)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(246,480)	(328,284)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 30 აგვისტო		-	-	-
წმინდა მოგება		-	3,482	3,482
საწესდებო კაპიტალის ზრდა		539,385	-	539,385
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი		539,385	3,482	542,867
წმინდა ზარალი		-	(328,284)	(328,284)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	1,073,913	-	1,073,913
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	10	1,613,298	(324,802)	1,288,496
წმინდა ზარალი		-	(246,480)	(246,480)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	105,319	-	105,319
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	10	1,718,617	(571,282)	1,147,335

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი დაბეგვრამდე		(246,480)	(328,284)
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		87,071	56,885
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(444,525)	(72)
ცვლილება მარაგებში		474,586	(363,290)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		104,497	13,139
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		(17,835)	29,454
ცვლილება სხვა ვალდებულებებში		2,985	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(39,701)	(592,168)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(43,311)	(537,978)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(47,500)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(43,311)	(585,478)
ფინანსური საქმიანობა			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	105,319	1,073,913
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		105,319	1,073,913
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)		22,307	(103,733)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	5	28,681	132,414
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	5	50,988	28,681

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიუთი მედი დაფუძნდა 2018 წლის 30 აგვისტოს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: გლდანის რაიონი, აკაკი ვასაძის ქუჩა, N2ა, კომერციული ფართი N4. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405287737. კომპანიის 100%-ის მფლობელია გეორგი შარიქაძე (პ/ნ 01019088902).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო და ესთეტიკური მომსახურება. კომპანიის სერვისები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

ამბულატორია: *თერაპია, პედიატრია, გინეკოლოგია, ენდოკრინოლოგია, ალერგოლოგია, დერმატოლოგია და სხვა.*

ფიზიოთერაპია: *რეაბილიტაცია, ოზონოთერაპია, ელექტროფორეზი, მანუალური თერაპია და სხვა.*

ესთეტიკური მედიცინა: *ლაზერული ეპილაცია, კოსმეტოლოგია, კრიოლიპოლიზი, კავიტაცია და სხვა.*

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - რუსუდან სარალიძე (პ/ნ 18001066409).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. 2020 წელს COVID-19-ით გამოწვეული გლობალური კრიზისის გამო, მარტის მეორე ნახევარში საქართველოში გამოცხადდა ე.წ. ლოქდაუნი, რამაც მრავალი ბიზნესის საქმიანობის შეჩერება და/ან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა განაპირობა. ლოქდაუნმა ორი თვე გასტანა. აღნიშნულის გამო, კომპანიამ დროებით შეაჩერა მომხმარებლის მომსახურება მარტიდან, რამაც შეამცირა კომპანიის 2020 წლის რეალიზაცია დაგეგმილთან შედარებით. თუმცა მაისის შუა რიცხვებიდან, კომპანიამ განაახლა მომხმარებლის მიღება და მის მერე სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი, სამედიცინო და სხვა ინვენტარი	5-7

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწილოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება სასარგებლო მომსახურების 10 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

4.4 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

4.5 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტია გაანაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “წავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

4.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, საკანცელარიო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული სალაროში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-20	31-12-19
ფული სალაროში	10,333	2,820
ფული საბანკო ანგარიშებზე	40,655	25,861
სულ	50,988	28,681

6. სავაჭრო მოთხოვნები

2018 და 2019 წლების განმავლობაში კომპანია ახორციელებდა იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობას. კერძოდ კომპანია აკეთებდა რემონტს, ლიფტის შეძენა-დამონტაჟებას, შენობის კონდიციონირებასა და გენერატორის შეძენა-დამონტაჟებას. იჯარის ხელშეკრულების თანახმად, რემონტი დასრულდა და გადაიყიდა მეიჯარეზე 2020 წლის მარტში. 2020 წლის ბოლოს არსებული სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს აღნიშნული გადაყიდვის ტრანზაქციიდან მეიჯარის მიმართ წარმოშობილ მოთხოვნას.

7. მარაგები

როგორც მერ შენიშვნაშია აღნიშნული, 2018 და 2019 წლებში კომპანია ახორციელებდა იჯარით აღებული შენობის რემონტს, რომელიც გამიზნული იყო მეიჯარისთვის მისაყიდად და შესაბამისად, 2019 წლის ბოლოს, აღნიშნული იჯარის კეთილმოწყობა, კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული მარაგები. რემონტი დასრულდა და გადაიყიდა მეიჯარეზე 2020 წლის მარტში.

8. ძირითადი საშუალებები

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	560,404	32,353	592,757
ოფისის აღჭურვილობა	51,181	1,500	52,681
ავეჯი, სამედიცინო და სხვა ინვენტარი	94,809	9,458	104,267
სულ	706,394	43,311	749,705

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	37,878	54,606	92,484
ოფისის აღჭურვილობა	8,052	9,264	17,316
ავეჯი, სამედიცინო და სხვა ინვენტარი	10,768	18,451	29,219
სულ	56,698	82,321	139,019

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	149,580	410,824	560,404
ოფისის აღჭურვილობა	15,637	35,544	51,181
ავეჯი, სამედიცინო და სხვა ინვენტარი	3,199	91,610	94,809
სულ	168,416	537,978	706,394

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	483	37,395	37,878
ოფისის აღჭურვილობა	341	7,711	8,052
ავეჯი, სამედიცინო და სხვა ინვენტარი	36	10,732	10,768
სულ	860	55,838	56,698

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამული უზრუნველყოფისგან, რომლის შეძენაც მოხდა 2019 წელს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთი:

არამატერიალური აქტივები	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ამორტიზაცია	საბალანსო ღირებულება
არამატერიალური აქტივები	47,500	5,797	41,703
სულ	47,500	5,797	41,703

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთი:

არამატერიალური აქტივები	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ამორტიზაცია	საბალანსო ღირებულება
არამატერიალური აქტივები	47,500	1,047	46,453
სულ	47,500	1,047	46,453

2020 წლის განმავლობაში ამორტიზაციის ხარჯმა შეადგინა 4,750 ლარი, ხოლო 2019 წლის განმავლობაში 1,047 ლარი.

10. საწესდებო კაპიტალი

2018 წელს დამფუძნებელმა კაპიტალში ჩადო 5,500 ლარი და 533,885 ლარის ექვივალენტი დოლარი. 2019 წელს დამფუძნებელმა კაპიტალში დამატებით ჩადო 30,000 ლარი და 1,043,913 ლარის ექვივალენტი დოლარი. 2020 წელს დამფუძნებელმა კაპიტალში დამატებით ჩადო 30,400 ლარი და 74,919 ლარის ექვივალენტი დოლარი.

11. შემოსავალი და რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის ფიზიკური პირების სამედიცინო და ესთეტიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი. შემოსავლის წყარო იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

ამბულატორია: თერაპია, პედიატრია, გინეკოლოგია, ენდოკრინოლოგია, ალერგოლოგია, დერმატოლოგია და სხვა.

ფიზიოთერაპია: რეაბილიტაცია, ოზონოთერაპია, ელექტროფორეზი, მანუალური თერაპია და სხვა.

ესთეტიკური მედიცინა: ლაზერული ეპილაცია, კოსმეტოლოგია, კრიოლიპოლიზი, კავიტაცია და სხვა.

გარდა ამისა, 2020 წელს კომპანიამ მიიღო შემოსავალი შენობის კეთილმოწყობის რეალიზაციიდან (იხ. შენიშვნა 6).

2020 და 2019 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

შემოსავალი	31-12-20	31-12-19
მარაგების რეალიზაციიდან	521,915	-
მომსახურებიდან	205,371	61,179
სულ შემოსავალი	727,286	61,179

2020 და 2019 წლების განმავლობაში დარიცხული რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	31-12-20	31-12-19
მარაგების რეალიზაციიდან	474,590	-
მომსახურებიდან	25,293	19,337
სულ თვითღირებულება	499,883	19,337

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, საკანცელარიო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-20	31-12-19
იჯარის ხარჯი	132,230	23,506
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯი	33,627	32,970
კომუნალური მომსახურების ხარჯი	32,067	12,240
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	22,035	3,695

პროგრამული მომსახურების ხარჯი	4,234	8,901
სამეურნეო და ჰიგიენის ხარჯი	2,596	13,352
საკანცელარიო ხარჯი	1,616	1,883
საბანკო ხარჯი	990	1,293
სხვა ხარჯები	25,561	14,967
სულ	254,956	112,807

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.1 იჯარის ხარჯი

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს შენობაში, რომელიც ნაქირავები აქვს დაკავშირებული მხარისგან. 2020 წლის განმავლობაში აღნიშნული ობიექტის იჯარის ხარჯმა შეადგინა 132,230 ლარი, ხოლო 2019 წლის განმავლობაში 23,506 ლარი.

15.1 შენობის კეთილმოწყობის რეალიზაცია

2018 და 2019 წლების განმავლობაში კომპანია ახორციელებდა იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობას. კერძოდ კომპანია აკეთებდა რემონტს, ლიფტის შეძენა-დამონტაჟებას, შენობის კონდიციონირებასა და გენერატორის შეძენა-დამონტაჟებას. იჯარის ხელშეკრულების თანახმად, რემონტი დასრულდა და გადაიყიდა მეიჯარეზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კომპანიის დაკავშირებულ მხარეს. აღნიშნული ტრანზაქციიდან კომპანიის შემოსავალი შეადგენს 521,915 ლარს ხოლო, რეალიზაციის თვითღირებულება შეადგენს 474,590 ლარს. 2020 წლის ბოლოს ნარჩენი სავაჭრო მოთხოვნა აღნიშნულ ტრანზაქციაზე შეადგენს 444,597 ლარს.

15.3 მენეჯმენტის კომპენსაცია

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 8,992 ლარი, ხოლო 2019 წელს 19,133 ლარი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.